ხელშეკრულება №02/08
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
CPV60400000-საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებები

9 იანვარი, 2018 წელი

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, სსიპ „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მანანა მიქაბერიძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორე მხრივ, შპს „ესთიაი ჯორჯია" (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის – ნინო ფეტელავას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტია: სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში (აპარატის კოდი) შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს წევრებისათვის (**პროფ. ზაალ კოკაია, პროფ. როჯერ ქაშმორი, პროფ. ნილ მაკფარლეინი**) ავიაბილეთების შეძენა.

HEATHROW-ISTANBUL-TBILISI-ISTANBUL-HEATHROW		ფასი
FLIGHT DATE : TYPE OF CLASS:	13 FEB- 18 FEB ECONOMY	
1.MACFARLANE/NEIL MR		
2 TK1986 P 13FEB 2 LHRIST HK1	1625 2310	
3 TK 386 P 14FEB 3 ISTTBS HK1	0120 0430	*2265.00* ლარი
4 TK 383 H 18FEB 7 TBSIST HK1	1810 1945	
5 TK1987 H 18FEB 7 ISTLHR HK1	2110 2215	

HEATHROW-ISTANBUL-TBILISI-ISTANBUL-HEATHROW		ფასი
FLIGHT DATE : TYPE OF CLASS:	12 FEB- 18 FEB ECONOMY	
1.CASHMORE/ROGER JOHN MR		
2 TK1986 P 12FEB 1 LHRIST HK1	1625 2310	
3 TK 386 P 13FEB 2 ISTTBS HK1	0120 0430	*2690.00* ლარი
4 TK 387 A 18FEB 7 TBSIST HK1	0540 0705	
5 TK1979 A 18FEB 7 ISTLHR HK1	0840 0950	

COPENHAGEN-ISTANBUL-TBILISI-ISTANBUL-COPENHAGEN		ფასი
FLIGHT DATE : TYPE OF CLASS:	13 FEB- 18 FEB ECONOMY	
1.KOKAIA/ZAAL MR		
2 TK1786 V 13FEB 2 CPHIST HK1	1800 2315	
3 TK 376 V 14FEB 3 ISTTBS HK1	0200 0515	*1998.00* ლარი
4 TK 379 H 18FEB 7 TBSIST HK1	1200 1335	
5 TK1785 H 18FEB 7 ISTCPH HK1	1535 1705	

მუხლი 2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

2.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული შესყიდვის ობიექტი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

2.2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

მუხლი 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: **6953.00 (ექვსიათასცხრაასორმოცდაცამეტი ლარი)** ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადისა და ხარჯის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 სამუშაო დღე.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი – ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს: სსიპ „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსი **მარიამ ქებურია**.
5.3 საქონლის გადაცემისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი გამოუწერს და გადასცეს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციას.

მუხლი 6. ანგარიშსწორება

6.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
6.3 ანაზღურების საფუძველია მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო დოკუმენტაცია.
6.4 ანაზღაურების ადგილი – ქ. თბილისი.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;
- წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდების დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
8.5 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო დროულად მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.
8.6 გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
11.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.
11.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში მითითებული პირ(ებ)ი.

მუხლი 12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკთხების ირგვლივ.
12.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს დავის გადაწყვეტის მიზნით დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოებს.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
13.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთ პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
13.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი
სსიპ „შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდი“
მის: ქ. თბილისი
ალექსიძის ქ. 1
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022
ს/კოდი: 204578064

მიმწოდებელი
შპს „ესთიაი ჯორჯია“
მის: ქ. თბილისი, მცხეთის 2/1
სს „თიბისი ბანკი“
ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა № GE76TB0600000021467424
ს/კოდი: 204954754

სსიპ „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ გენერალური დირექტორი

მანანა მიქაბერიძე

შპს „ესთიაი ჯორჯია“ დირექტორი

ნინო ფეტელავა

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

9 იანვარი, 2018 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებების (ავიაბილეთების) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით შპს-სთან ,,ესთიაი ჯორჯია".

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი

მანანა მიქაბერიძე -

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე

სოფიო უჩანეიშვილი -

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსი

მარიამ ქებურია –

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საფინანსო-ეკონომიკური და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი

მალხაზ ხოფერია –

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

მარიამ იაშვილი–

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საფინანსო-ეკონომიკური და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთ. სპეციალისტი

მინდია მაზმიშვილი –